



ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL) კონკურსი საპროექტო იდეების მისაღებად ნოემბერი, 2022

**სარჩევი**

1. შესავალი ..... 1

2. საპროექტო იდეების მიღების წესი და პირობები ..... 2

3. პროექტის შემუშავებისა და ხელშეკრულების გაფორმების ეტაპები ..... 5

4. პროექტის განხორციელების და მონიტორინგის პრინციპები ..... 5

დანართი 1. შერჩევის კრიტერიუმები და ქულების მინიჭების სქემა ..... 6

დანართი 2. საგრანტო განაცხადების ფორმა ..... 8

დანართი 3. მიმოხილვა - „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის“ (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL) ..... 11

**1. შესავალი**

2022 წლის გაზაფხულზე, საპილოტე რეგიონების მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან გამართულ გაცნობით სამუშაო შეხვედრებზე წარდგენილი იქნა ინფორმაცია, პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის“ (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (შემდგომში CESL) ფარგლებში **საპროექტო იდეების დაფინანსების** შესაძლებლობის შესახებ ურბანული განახლების, ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის მიმართულებით. შესაბამისად, პროექტის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (CESL) განხორციელებაზე პასუხისმგებელ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და მუნიციპალიტეტებს ან ინტერმუნიციპალური დანიშნულების ორგანიზაციებს შორის გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულებები. პროექტის ფარგლებში, დამატებით, უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური მხარდაჭერა პროექტის შემუშავებისა და მისი განხორციელების ეტაპზე<sup>1</sup>. CESL ინიციატივა წარმოადგენს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) ნაწილს, შესაბამისად ხორციელდება საქართველოს მხოლოდ ოთხ რეგიონში: გურიის, იმერეთის, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში.

საპროექტო იდეების მიღება მოხდება აღნიშნული 4 სამიზნე რეგიონების მუნიციპალიტეტებიდან და ინტერმუნიციპალური ორგანიზაციებიდან (მაგ.: დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - DMO) მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით, 2023 წლის ივნისის ჩათვლით. შეფასების კრიტერიუმებისა და ქულების განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართი #1-ში, საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა იხილეთ დანართი #2-ში და პროექტ CESL- ის აღწერილობა - დანართი #3-ში.

თითოეული საპროექტო იდეის (შემდგომში განაცხადი) შეფასების შემდეგ, დადებითი პასუხის შემთხვევაში, ის განაცხადები რომლებიც დააკმაყოფილებენ კონკრეტულ პირობებსა და ვადებს მიიღებენ **დაფინანსების წინაპირობას**. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, განმცხადებელი აგრძელებს პროექტის შემუშავებასა და საგრანტო ხელშეკრულებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას (იხ. თავი 3). პროექტის განხორციელება და მონიტორინგი იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ (იხ. თავი 4). პროგრამის განხორციელების პერიოდში CESL-ის გუნდს ექნება აქტიური კომუნიკაცია სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებთან და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებთან (RCC). დამატებითი კითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ CESL-ის რეგიონულ მრჩეველებს, დასავლეთ საქართველოში [nino.khukhua@giz.de](mailto:nino.khukhua@giz.de)-სა და [mariam.zhorzhikashvili@giz.de](mailto:mariam.zhorzhikashvili@giz.de)-ს, ხოლო, კახეთში [zurab.tsignadze@giz.de](mailto:zurab.tsignadze@giz.de)-ს. CESL -ის გუნდი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის საინფორმაციო შეხვედრებს ჩაატარებს პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში.

<sup>1</sup> CESL-ის "front office"-ის გუნდს წარმოადგენს რვა ადამიანი-გუნდის ლიდერი, პროექტის კოორდინატორი, ექსპერტი CESL-ის თითოეული პრიორიტეტული მიმართულებით (ურბანული განახლება, ტურიზმის განვითარება, შემოსავლების წარმოქმნა, ეკონომიკური გააქტიურება) და სამი რეგიონული წარმომადგენელი (ორი მათგანი ქუთაისში, ხოლო, ერთი თელავში). "back office" მოიცავს შესყიდვებისა და გრანტების მართვის ოფიცრებსა და ბუღალტერს.



## 2. საპროექტო იდეების მიღების წესი და პირობები

ზოგადი წესები	
როდის დაიწყება განაცხადების მიღება?	საპროექტო იდეებისთვის განაცხადების მიღება შესაძლებელია 14.11.22-დან 30.06.23-ს ჩათვლით.
ვის შეუძლია განაცხადის წარდგენა?	საპროექტო განაცხადის წარმდგენი შეიძლება იყოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის სამიზნე ოთხი რეგიონის 27 მუნიციპალიტეტი და ინტერმუნიციპალური დანიშნულების ორგანიზაციები (მაგ. DMOs <sup>2</sup> ) მუნიციპალიტეტ(ებ)თან პარტნიორობით.
სად არის შესაძლებელი პროექტის განხორციელება?	პროექტი შესაძლოა განხორციელდეს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის სამიზნე ერთ (ან ერთზე მეტ) მუნიციპალიტეტში.
როდის უნდა განხორციელდეს პროექტი?	პროექტის განხორციელება შესაძლებელი იქნება საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან. პროექტის განხორციელება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2025 წლის 30 ივნისს.
რა საკითხებს უნდა მოიცავდეს პროექტი?	წარმოდგენილი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს CESL-ის პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთს, მაგალითად: <ol style="list-style-type: none"> <li>1. ურბანული განახლება;</li> <li>2. ტურიზმის განვითარება;</li> <li>3. ეკონომიკური განვითარება, შემოსავლების და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა.</li> </ol> <p>თითოეული პრიორიტეტული მიმართულების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი #3. გაითვალისწინეთ, რომ პრიორიტეტული მიმართულება 1 (ურბანული განახლება) ვრცელდება რეგიონულ ურბანულ ცენტრებსა და პოსტ ინდუსტრიულ ქალაქებზე, სულ 8 მუნიციპალიტეტზე (ქუთაისი, ოზურგეთი, ამბროლაური, თელავი, ზესტაფონი, ჭიათურა, სამტრედია და ტყიბული).</p>

დაფინანსების წესი	
განსაზღვრული არის თუ არა კონკურსის ფარგლებში გასაცემი გრანტების მთლიანი მოცულობა?	გასაცემი გრანტების მთლიანი მოცულობის განაწილების პრინციპი იხილეთ ქვემოთ: გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ მოყვანილი პროცენტული განაწილება წარმოდგენილია <b>საორიენტაციოდ</b> და შესაძლოა შეიცვალოს როგორც რეგიონებს, ასევე პრიორიტეტებს შორის. CESL გუნდის გადაწყვეტილებით რეგიონებზე პროცენტულად განაწილებული თანხები შესაძლოა დაექვემდებაროს ცვლილებას, თუ კონკრეტული რეგიონი ვერ უზრუნველყოფს გამართული საპროექტო იდეების წარმოდგენას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში აუთვისებელი თანხები შესაძლოა მიემართოს იმ რეგიონზე/ებზე, საიდანაც საუკეთესო საპროექტო იდეები იქნება წარმოდგენილი.
როგორ ნაწილდება გასაცემი გრანტების მთლიანი მოცულობა რეგიონებისა და პროექტის პრიორიტეტების მიხედვით?	კონკურსის ფარგლებში გასაცემი გრანტების მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია - 2 000 000 მილიონი ევროს ოდენობით. რეგიონებს შორის გასაცემი გრანტების მოცულობა (%) ნაწილდება შემდეგნაირად: იმერეთი 43.8%; კახეთი 35.6 %; გურია 14%; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 6.6%. <sup>3</sup>

<sup>2</sup> ორი ან მეტი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად დაფუძნებული ორგანიზაციები.  
<sup>3</sup> რეგიონებს შორის პირობითი % განაწილება შეესაბამება საპილოტე რეგიონების პროგრამას.



<p>არსებობს თუ არა მოთხოვნა მინიმალური თანადაფინანსების მოცულობასთან დაკავშირებით?</p>	<p>პროექტის ბიუჯეტის თანადაფინანსების მოცულობასთან დაკავშირებით განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის მინიმუმ 1%-ის თანადაფინანსება საკუთარი რესურსებიდან.</p>
<p>არსებობს თუ არა შეზღუდვა გრანტის მინიმალური და მაქსიმალური მოცულობასთან დაკავშირებით?</p>	<p>კონკურსით მოთხოვნილი თითოეული გრანტის მინიმალური მოცულობა არ უნდა იყოს 50 000 ლარზე ნაკლები, რაც შეეხება გრანტის მაქსიმალურ მოცულობას, ურბანული განახლების პრიორიტეტისთვის განისაზღვრება 800,000 ლარით, ხოლო ტურიზმის განვითარებისა და შემოსავლების წარმოქმნის/ ეკონომიკური გააქტიურების პრიორიტეტებისთვის - 500,000 ლარით.</p>
<p>მიღებული გრანტით რისი დაფინანსება არის შესაძლებელი?</p>	<p>გრანტი გამოყენებული უნდა იქნას პროექტის მიზნების განსახორციელებლად საჭირო ტექნიკის, მომსახურების მიწოდების, სამუშაოებისა და ქვეგრანტების დასაფინანსებლად.<sup>4</sup></p> <p>წინამდებარე საგრანტო პროგრამით არ დაფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განმცხადებლების დასაქმებულთა ხელფასები;</li> <li>• მიწებისა და შენობების შესყიდვა;</li> <li>• ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მომზადებასთან დაკავშირებულ ხარჯები – მაგალითად, პროექტის დოკუმენტაციის შედგენა (საპროექტო ნახაზი, საპროექტო ხარჯთაღრიცხვა), დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის შეფასება.</li> </ul> <p>გათვალისწინეთ, ისეთი აქტივობები, როგორცაა კვლევები, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში<sup>5</sup> დაფინანსდება, ვინაიდან CESL-ის ინიციატივა ორიენტირებულია ადგილობრივი და რეგიონული თემების ცხოვრებისთვის ხელშესახები ცვლილებების შექმნაზე.</p>

განაცხადების წარდგენის წესი	
<p>წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სათანადოდ შევსებული განაცხადის ფორმა (იხ. დანართი 2);</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში, მიწისა და ქონების რეგისტრაციისა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.</li> </ul>
<p>განაცხადის წარდგენის რაოდენობა და ვადები?</p>	<p>თითოეულ მუნიციპალიტეტს თვეში შეუძლია, მაქსიმუმ, ორი განაცხადის წარდგენა.</p>
<p>როგორ უნდა მოხდეს განაცხადის წარდგენა?</p>	<p>საპროექტო იდეის განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს ქართულ ენაზე, 2 პირად: 1) ერთი ეგზემპლარი დასკანერებული სახით, ხელმოწერილი მუნიციპალიტეტის მერის (ინტერმუნიციპალური დანიშნულების მქონე ორგანიზაციის შემთხვევაში, მისი ხელმძღვანელის მიერ), 2) ხოლო მეორე ეგზემპლარი word - ის ფორმატში, ხელმოწერის გარეშე. აღნიშნული დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე <a href="mailto:euitedcesl@giz.de">euitedcesl@giz.de</a>, ორ დოკუმენტს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში CESL- პროექტი იხელმძღვანელებს ხელმოწერილი ვერსიით.</p>

<sup>4</sup> ქვეგრანტები არის, მაგალითად, ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც GIZ-თან დადებული ძირითადი გრანტის ფარგლებში ენიჭება მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეულ ინდივიდუალურ მქარამებს ან მიკროსაწარმოებს.

<sup>5</sup> მაგალითად, როდესაც ასეთი წინასწარი სამუშაო ჩატარება საჭირო არის სამომავლო ინტერვენციებისთვის, რომელსაც უმნიშვნელოვანესი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მოცემული რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე (მაგ. გამართული მუნიციპალური/ინტერმუნიციპალური ტრანსპორტი).



განაცხადების განხილვა/შეფასება და პირველადი გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ	
როგორ ხდება განაცხადების განხილვა?	განაცხადების მიღების შემდეგ, CESL-ის გუნდი შეისწავლის თითოეულ განაცხადს, რათა დადგინდეს წარმოდგენილი საპროექტო იდეის შინაარსთან შესაბამისობა და განიმარტოს ნებისმიერი ღიად დარჩენილი საკითხი. აქედან გამომდინარე, CESL-ის გუნდმა შესაძლოა დამატებით მოითხოვოს დოკუმენტაციის წარდგენა, გასაუბრება და/ან ადგილზე ვიზიტის დაგეგმვა. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, შესაძლოა ასევე დაკავშირება მოხდეს დამატებით პირებთან და/ან დაწესებულებებთან. ამასთანავე, კონსულტაციების მიზნით, შემოსული საპროექტო იდეების წარდგენა მოხდება სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე (RCC).
როგორ ხდება განაცხადების შეფასება?	განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებენ განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეფასდებიან დანართ 1-ში მოცემული კრიტერიუმებისა და სქემის შესაბამისად. განაცხადების შეფასებას მოახდენს CESL პროექტის მინიმუმ სამი წარმომადგენლისგან შემდგარი ექსპერტთა ჯგუფი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შეფასების პროცესში გუნდი განიხილავს და გააანალიზებს, როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, ისე, საპროექტო იდეის შინაარსთან შესაბამისობის დასაზუსტებლად, CESL-ის გუნდის წევრების მიერ დამატებით შეგროვებულ ინფორმაციას.
როგორ ხდება „დაფინანსების წინაპირობის“ შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება?	<p>შეტყობინება თითოეულ განმცხადებელს ეცნობება CESL-ის გუნდისგან, განაცხადის წარდგენის თვიდან მომდევნო თვის ბოლომდე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დადებითი პასუხის შემთხვევაში, აღნიშნულ გადაწყვეტილებას თან დაერთვის პირობები<sup>6</sup> და ვადები, რომლებიც უნდა შესრულდეს GIZ-თან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე. ეს პირობები და ვადები უნდა დაკმაყოფილდეს საპროექტო განაცხადის შემუშავების პროცესში.</li> <li>• უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული და არგუმენტირებული. მათ შორის, გაკეთდება მითითება განაცხადის სუსტი მხარეების შესახებ. საპროექტო იდეების ხელახალი წარდგენა შესაძლებელი იქნება, იმ პირობით, თუკი აღნიშნული სუსტი მხარეები თავიდან წარსადგენ განაცხადში გამოსწორებული იქნება.</li> </ul> <p>გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ “დაფინანსების წინაპირობის” შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საპროექტო იდეის საბოლოო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლოა შეიცვალოს და უარყოფითი აღმოჩნდეს სხვა ფაქტორების გათვალისწინებით - მაგალითად, დაფინანსების ხელმისაწვდომობა ან პროპორციული გადანაწილება PIRDP-ის რეგიონებს შორის. ასეთ შემთხვევებში, CESL-ის გუნდი შეეცდება დაეხმაროს განმცხადებლებს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება (მაგ: მოთხოვნილი დაფინანსების ნაწილის სხვა წყაროებიდან მოძიებაში).</p>

<sup>6</sup> მაგალითად, თუ განაცხადი გაკეთდა 1.3 ან 30.3-ში, გადაწყვეტილება ორივე შემთხვევაში, 30.4-ისთვის მიიღება.



### 3. პროექტის შემუშავებისა და ხელშეკრულების გაფორმების ეტაპები

“დაფინანსების წინაპირობის” შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საპროექტო იდეების სრულფასოვან პროექტებად გარდაქმნის მიზნით მუნიციპალიტეტი განაგრძობს საჭირო/სათანადო ნაბიჯების გადადგმას. ასეთი ნაბიჯები მოიცავს, მაგალითად, ქონების გადაცემას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), საპროექტო იდეის მოწონებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას და პროექტის განსახორციელებლად გუნდის შექმნას.

საპროექტო იდეის „დაფინანსების წინაპირობის“ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, განმცხადებელმა, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს შემდეგი სავალდებულო დოკუმენტაცია:

- პროექტის ტექნიკური გეგმა (ინფრასტრუქტურული პროექტის შემთხვევაში);
- დეტალურად ჩაშლილი ბიუჯეტი;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ;
- ექსპერტის ოფიციალური დასკვნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეფასების შესახებ;
- საკრებულოს განკარგულება პროექტის მოწონების შესახებ;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევა (გზშ) (საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნის შემთხვევაში);
- მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრ(ებ)ის ჩანაწერები.

საპროექტო იდეის შემუშავებისა და ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში CESL-ის გუნდი უზრუნველყოფს განმცხადებლისთვის კონსულტაციის გაწევას<sup>7</sup>. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება არ დაფინანსდება.

### 4. პროექტის განხორციელების და მონიტორინგის პრინციპები

პროექტის განხორციელება უნდა დაიწყო GIZ-ისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე. პროექტი უნდა წარიმართოს ისე, როგორც თავდაპირველ აღწერაშია მითითებული, ხოლო მონიტორინგის, ანგარიშგებისა და დაფინანსების გამოყენების პირობები, რომლებიც ხელშეკრულებით არის გაწერილი, დაცული უნდა იყოს შესაბამისად. მომსახურების, ინვენტარისა და სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება ქართულ ენაზე და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, ყველა ფინანსური ტრანზაქცია უნდა წარიმართოს ეროვნულ ვალუტაში. ბენეფიციარებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მხრიდან მიღებული დაფინანსების გამჭვირვალობა. დაფინანსებული პროექტის წარმატებით განხორციელებაზე პასუხისმგებლობა თავად ბენეფიციარებს ეკისრებათ.

მონიტორინგის მიზნით<sup>8</sup> მათ უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი აქტორების და დაინტერესებული მხარეების (მაგ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSOs), კერძო სექტორის წარმომადგენლები) ჩართულობით მოხალისეობრივი ჯგუფის შექმნა. გარდა ამისა, უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტებში არსებული კვალიფიციური პერსონალი მობილიზების უზრუნველყოფა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისა და თავიანთი კოლეგებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

<sup>7</sup> 100,000 ევროზე მეტი ოდენობის საგრანტო ხელშეკრულებებისთვის ეს პირობები განსხვავდება იმით, რომ 1) პროექტის აღწერები და ბიუჯეტები შედგენილი უნდა იყოს მხოლოდ ინგლისურ ენაზე და 2) ხელშეკრულებები ფორმდება ევროში (EUR) და არა ლარში (GEL) (და, შესაბამისად, ბიუჯეტი წარმოდგენილია ევროში).

<sup>8</sup> ეს მოდელი დაინერგა და (წარმატებით) იქნა გამოცდილი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინიციატივის „შერები ეკონომიკური ზრდისთვის 2017-2020“ კონტექსტში.



**დანართი 1. შერჩევის კრიტერიუმები და ქულების მინიჭების სქემა**

განაცხადების შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები ქულების მინიჭების სქემასთან ერთად მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. სქემის შესაბამისად, თითოეულ განაცხადს ყველა კრიტერიუმის მიხედვით მიენიჭება ქულა 0-დან 10-მდე, სადაც 6 ქულა ითვლება „გამსვლელად“. საბოლოო ქულა მაქსიმალური 1,000 ქულიდან მიიღება თითოეული ქულის გამრავლებით შესაბამისი კრიტერიუმის შეწონილ ქულაზე. „დაფინანსების წინაპირობის“ შესახებ დადებითი გადაწყვეტილებები მიიღება იმ პროექტების შემთხვევაში, რომელთაც ექნებათ შეწონილი გამსვლელ ქულათა ჯამი 700 ან მეტი და ამასთანავე, თითოეულ კრიტერიუმში გამსვლელი ქულა მინიჭებული.

კრიტერიუმი	ქულების დიაპაზონი	გამსვლელი ქულა	შეწონილი ქულა	შეწონილი გამსვლელი ქულა
რეგიონული მასშტაბი	0-დან 10-მდე	6	15	90
„ინტეგრირებულობა“	0-დან 10-მდე	6	30	180
შესაბამისობა, მიზანშეწონილობა, მდგრადობა	0-დან 10-მდე	6	40	240
ვალდებულება	0-დან 10-მდე	6	15	90

მეტი სიცხადისთვის, თითოეული კრიტერიუმის განმარტება მასთან დაკავშირებულ ძირითად შეკითხვებთან ერთად ქვემოთ არის განხილული. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შეფასებები გაკეთდება **1) წარდგენილი განაცხადებისა და 2) CESL-ის გუნდის მიერ დამატებითი მოკვლევის დროს** შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

**კრიტერიუმებისა და მასთან დაკავშირებული ძირითადი შეკითხვების განმარტება**

**რეგიონული:**<sup>10</sup> პროექტებს უნდა ჰქონდეთ რეგიონული მასშტაბი - მოიცვან ერთზე მეტი მუნიციპალიტეტი. ძირითადი კითხვები, რომლითაც შემფასებლები იხელმძღვანელებენ:

- იქნება თუ არა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ერთზე მეტი მუნიციპალიტეტიდან, პროექტის დაგეგმვის და/ან განხორციელების პროცესში? მაგ: ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSOs), საგანმანათლებლო დაწესებულებების და ა.შ. ჩართულობა;
- რამდენად გავრცელდება პროექტის მოსალოდნელი შედეგები პროექტის განხორციელების არეალის მიღმა? მაგ.: ხელმისაწვდომი იქნება თუ არა სხვა მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვის ახლადშექმნილი სერვისები და/ან შემოსავლების გენერირება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შემფასებლები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ამ კრიტერიუმს, ინტერმუნიციპალური დანიშნულების მქონე ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული საპროექტო იდეების შემთხვევაში, რათა დადგინდეს, რომ აღნიშნული პროექტის შედეგი არ აისახება მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტზე.

**„ინტეგრირებულობა“**<sup>11</sup>: პროექტი ჩაითვლება „ინტეგრირებულად“, თუ იგი **1) „კონკრეტულ ადგილზეა მორგებული“** - ანუ ასახავს და შეესაბამება კონკრეტული ადგილის განსაკუთრებულ მახასიათებლებს, **2) „მრავალშედეგობრივია“** - ანუ გამოიწვევს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ და/ან გარემოსდაცვით სარგებელს, **3) დაგეგმილი და განხორციელებულია** სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. მაგ. ადგილობრივი ხელისუფლება, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, საგანმანათლებლო დაწესებულებები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები.

**შესაბამისობა, მიღწევადობა, მდგრადობა:** საპროექტო იდეები შეირჩევა იმ შემთხვევაში, თუ:

<sup>9</sup> 0-დან 1.9-მდე - ძალიან ცუდი, 2-დან 3.9-მდე - ცუდი, 4-დან 5.9-მდე - არადაკმაყოფილებელი; 6 - დამაკმაყოფილებელი; 6.1-დან 7.9-მდე - კარგი, 8-დან 10-მდე - შესანიშნავი.  
<sup>10</sup> „შიდარეგიონული“ = ერთი რეგიონის შიგნით (მაგ: იმერეთი); „რეგიონთაშორისი“ = ორ ან მეტ რეგიონს შორის (მაგ: გურიასა და იმერეთს შორის, ან გურიასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის).  
<sup>11</sup> „ინტეგრირებული“ პროექტი არის ის, რომელიც **1)** ითვალისწინებს იმ ადგილ(ებ)ს უნიკალურ მდგომარეობასა და მახასიათებლებს, რომელსაც ის შეეხება; **2)** არის სექტორთაშორისი - მაგალითად, გამოიწვევს ეკონომიკურ, სოციალურ და/ან გარემოსდაცვით სარგებელს; და **3)** დაგეგმილია და ხორციელდება პარტნიორთა კოალიციის მიერ ადგილობრივი თემიდან - მაგალითად, ბიზნესი, სამოქალაქო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და პროფესიულ საგანმანათლებლო საწესებულებები.



1) მიზნად ისახავს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ეხმიანება საზოგადოების გამოწვევებს (მაგ. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა, შემოსავლების დივერსიფიკაცია);

2) დასახული მიზნები რეალისტური და დროში მიღწევადია და

3) მდგრადი და შედეგზე ორიენტირებულია.

**ძირითადი შეკითხვებია:**

- რამდენად უზრუნველყოფს პროექტის მიზნების მიღწევა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას?
- პასუხობს თუ არა საპროექტო იდეა CESL-ის პრიორიტეტებს?
- პასუხობს თუ არა პროექტის იდეა საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს?
- შეესაბამება თუ არა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობები არსებულ გამოწვევებს?
- არის თუ არა უზრუნველყოფილი ჩართული მხარეების მონაწილეობისთვის საჭირო და აუცილებელი პირობები?
- რამდენად რეალურია გამოწვევების დაძლევის საპასუხოდ შემოთავაზებული მიდგომა?
- წარმოადგენს თუ არა აღნიშნული საპროექტო იდეა, რომელიმე მიმდინარე ან დაგეგმილი პროექტის ნაწილს ან გაგრძელებას?
- დადგენილია თუ არა მიწის ან უძრავი ქონების საკუთრების უფლება, სადაც იგეგმება პროექტის განხორციელება? იმ შემთხვევაში თუ მიწა/უძრავი ქონება არ არის განმცხადებლის საკუთრებაში, როგორ იგეგმება მაგ. მიწის/უძრავი ქონების საკუთრების უფლების მოპოვება?
- რამდენად უზრუნველყოფს შემოთავაზებული აქტივობები პროექტის მიზნების მიღწევას?
- შესაძლებელია თუ არა პროექტის მიზნების განსაზღვრულ ვადებში მიღწევა გათვალისწინებული რესურსებით (მიწა/საკუთრება, ბიუჯეტი, პერსონალი)?
- რამდენად ნათელია, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი პროექტის მართვაზე მისი განხორციელების პროცესში?
- რამდენად ნათელია, თუ ვინ უზრუნველყოფს პროექტის მდგრადობის შენარჩუნებას?

**პასუხისმგებლობა:** შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ პასუხისმგებლობის აღება მნიშვნელოვანია პროექტის შემუშავებისა და განხორციელებისთვის. რადგანაც CESL-ის გუნდისთვის მთავარი პარტნიორები არიან მუნიციპალიტეტები, ისინი სრულად უნდა ფლობდნენ დაფინანსებული ინიციატივების შესახებ ინფორმაციას და საპროექტო ჯგუფი გამოხატავდეს მზადყოფნას თანამშრომლობისთვის.

**ძირითადი შეკითხვებია:**

- არის თუ არა მუნიციპალიტეტების მიერ აღებული პასუხისმგებლობა წარდგენილი საპროექტო იდეის განხორციელებაზე?
- არის თუ არა უკვე დაწყებული მუშაობა პროექტის იდეის შესაქმნელად (მაგ. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან) ან საპროექტო იდეა თუ წარმოადგენს მიმდინარე უფრო დიდი ინიციატივის გარკვეულ ნაწილს?
- რამდენად მზად არის მუნიციპალიტეტი განახორციელოს პროექტის თანადაფინანსება? გამოთქვამს თუ არა მზადყოფნას, პროექტის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება გაუზიაროს სხვა მუნიციპალიტეტებს, მაგ. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მეშვეობით?
- არის თუ არა ჩამოყალიბებული პროექტის განმახორციელებელი კვალიფიციური გუნდი, რომელიც ითანამშრომლებს CESL-ის გუნდთან?
- დაინტერესებული მხარეები იღებენ თუ არა ვალდებულებას პროექტის განხორციელებაზე? მოიაზრებიან ის დაინტერესებული მხარეები, რომლებიც წარმოადგენილია პარტნიორთა კოალიციაში და პასუხისმგებელი არიან პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაზე.



დანართი 2. საპროექტო იდეების განაცხადის ფორმა

EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)

ქვემოთ მოცემული განაცხადის ფორმა უნდა შეივსოს, საპროექტო იდეის წარდგენის წესების, პირობების, შეფასების კრიტერიუმებისა და ქულათა მინიჭების სქემის შესაბამისად. მითითებები მოცემულია დახრილი შრიფტით, რაც უნდა წაიშალოს განაცხადის შევსებისას. განმცხადებლის მიმართ შესაძლებელია გაჩნდეს დამატებითი კითხვებისა და ადგილზე ვიზიტების საჭიროება.

ზოგადი ინფორმაცია	
საპროექტო იდეის წარმდგენი	მიუთითეთ განაცხადის წარმდგენი სტრუქტურა, რომელიც უნდა იყოს ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი ან ინტერმუნიციპალური დანიშნულების ორგანიზაცია, სრიგპ - ის 4 სამიზნე რეგიონიდან.
საკონტაქტო პირი	მიუთითეთ საპროექტო განაცხადზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირის სახელი და გვარი, თანამდებობა, ელექტრონული ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. საკონტაქტო პირი არ შეიძლება იყოს მერი ან ინტერმუნიციპალური დანიშნულების ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თუმცა უნდა ფლობდეს პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას.
CESL-ის საპროექტო პრიორიტეტული მიმართულება	მიუთითეთ CESL-ის რომელ პრიორიტეტს შეესაბამება წარმოდგენილი საპროექტო იდეა (ურბანული განახლება, ტურიზმის განვითარება ან შემოსავლების გენერირება/ეკონომიკური გააქტიურება). გასათვალისწინებელია, რომ ურბანული განახლების მიმართულებით პრიორიტეტი მიენიჭება მხოლოდ ურბანულ ცენტრებს: ამბროლაურს, ქუთაისს, ოზურგეთს, თელავს, ჭიათურას, სამტრედიას, ტყიბულას და ზესტაფონს.
CESL-ის სხვა პრიორიტეტული მიმართულება(ები)	თუ პროექტის იდეა ასევე ეხმაურება სრიგპ-ის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებს, გთხოვთ, მიუთითოთ.
პროექტის სახელწოდება	მიუთითეთ პროექტის სახელწოდება, რომელიც არ უნდა იყოს ერთ სტრიქონზე გრძელი.
პროექტის მოკლე აღწერა	პროექტის მოკლე აღწერა უნდა მოიცავდეს: <b>1)</b> პროექტის დასაბუთებას, <b>2)</b> მიზნებს (ამოცანებს), <b>3)</b> დაგეგმილ აქტივობებს, <b>4)</b> პროექტით აღებულ ვალდებულებებს, <b>5)</b> განხორციელების მოსალოდნელ ვადებს, <b>6)</b> ბიუჯეტს.

პროექტის შინაარსი	
საპროექტო ჯგუფი	აღწერეთ პროექტის ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს პროექტის შემუშავებაში, განხორციელებასა და განხორციელებული პროექტის შედეგების შემდგომი მართვის პროცესში. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს: <ul style="list-style-type: none"> <li>ინფორმაციას პროექტის ჯგუფის სხვა მონაწილე სუბიექტების შესახებ (გარდა განმცხადებლისა). მაგ.: სხვა მუნიციპალიტეტები, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (მათ შორის მოხალისეობის თემაზე მომუშავე ორგანიზაციები);</li> <li>რა სისტემით მუშაობს აღნიშნული საპროექტო ჯგუფი – მაგ.: რა სიხშირით ტარდება ჯგუფის წევრებს შორის შეკრება, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები, ხორციელდება თუ არა შეთანხმების გაფორმება (მაგ. მემორანდუმი).</li> </ul> გაითვალისწინეთ, რომ პროექტის ჯგუფის წევრები არიან პროექტის შემუშავების, განხორციელების და შემდგომი მართვის მთავარი სუბიექტები.
დასაბუთება	დაასაბუთეთ, თუ რატომ არის პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი და საზოგადოების რომელ გამოწვევებს პასუხობს (მაგ. ახალგაზრდებში





<b>პროექტის შინაარსი</b>	
	უმუშევრობა), ან რა შესაძლებლობების განვითარებას შეუწყობს ხელს (მაგ. შემოსავლების ზრდის გენერირება).
<b>დაკავშირებული ინიციატივები</b>	აღწერეთ ნებისმიერი მიმდინარე ან დაგეგმილი ინიციატივა, რომელიც შეიძლება იყოს კავშირში, ან ჰქონდეს მსგავსება პროექტთან, ან არის თუ არა პროექტი უფრო დიდი პროგრამის/პროექტის ნაწილი. (მაგ. თუ განმცხადებელი მონაწილეობს ან შეიძლება იყოს ჩართული სხვა დონორი ორგანიზაციის პროექტებში (მაგ. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, ან „EU4ITD: დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის განვითარება საქართველოში“; რომელსაც ახორციელებს UNDP საქართველოში).
<b>პროექტის მიზნები</b>	აღწერეთ პროექტის ეკონომიკური, სოციალური და/ან გარემოსდაცვითი მიზნები, რომელიც მიიღება პროექტის განხორციელების შედეგად. მაგ. ღირებულებათა ჯაჭვის სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. ასეთი მიზნები უნდა იყოს კონკრეტული და უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებს.
<b>აქტივობები</b>	აღწერეთ პროექტის განხორციელებისთვის დაგეგმილი აქტივობები.
<b>სამოქალაქო სექტორის ინიციატივები</b>	აღწერეთ სამოქალაქო სექტორის ინიციატივები, თუ აღნიშნულს ითვალისწინებს პროექტი. ასეთ ინიციატივებს ამუშავებს და ახორციელებს თავად სამოქალაქო სექტორი რისი დაფინანსება ხდება სახელმწიფო ფონდებიდან. (მაგ. ისეთი მოხალისეობრივი ჯგუფების აქტივობები, რომელიც საქმიანობაც მიმართულია გარემოს დაცვით თუ მოწყვლადი ჯგუფების საკითხებზე). გასათვალისწინებელია, რომ ურბანული განახლების პროექტები უნდა მოიცავდეს მინიმუმ ერთი მოქალაქის მიერ წამოყენებულ ინიციატივას.
<b>ხელშეკრულება</b>	ჩამოთვალეთ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ხელშეკრულების ტიპები (მაგ. მომსახურების ხელშეკრულება, შესყიდვის ხელშეკრულება, სავრანტო ხელშეკრულება, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულება) და რაოდენობა.

<b>ვადები და ბიუჯეტი</b>	
<b>პროექტის მომზადების ეტაპები</b>	აღწერეთ პროექტის განხორციელების ეტაპები: 1. დაწყებულია პროექტის შემუშავების პროცესი; 2. საჭიროებს გარკვეული ნაბიჯების გადადგმას პროექტის შემუშავებისთვის; 3. პროექტის შემუშავებისთვის საჭირო სავარაუდო ვადები. მაგ. ეტაპები მოიცავს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს (შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან, მაგ. როგორცაა დაცული ტერიტორიების სააგენტო (APA) და ა.შ.)
<b>განხორციელების ვადა</b>	მიუთითეთ პროექტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული პერიოდი (მიუთითეთ დაწყების თარიღი და თვეების რაოდენობა).
<b>ბიუჯეტი ლარში (სავარაუდო)</b>	მიუთითეთ პროექტის მთლიანი (სავარაუდო) ბიუჯეტი ლარში (ყველა სხვა დაფინანსების ჩათვლით).
<b>დაფინანსების წყაროები</b>	ჩამოთვალეთ დაფინანსების სავარაუდო წყაროები და თანხის (მიახლოებით) რაოდენობა, მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> <li>• განმცხადებელი – XX ლარი</li> <li>• CESL პროექტი – XX ლარი</li> <li>• სხვა დონორი ორგანიზაცია – XX ლარი</li> <li>• კერძო ინვესტორი – XX ლარი</li> <li>• ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება – XX ლარი</li> <li>• პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებელი – XX ლარი</li> </ul>



პასუხისმგებლობები	
პროექტის განხორციელების პროცესში	მიუთითეთ, რომელი ორგანიზაციები იქნებიან პასუხისმგებელი პროექტის განხორციელებაზე - მაგ. კოალიციის შემთხვევაში დააკონკრეტეთ, როგორ იქნება განაწილებული პასუხისმგებლობები: მაგ. შესყიდვა/გადახდა, თემთან ურთიერთობა, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია და ა.შ.
პროექტის დასრულების შემდეგ	მიუთითეთ ორგანიზაციები, რომლებიც: <ul style="list-style-type: none"> <li>• უზრუნველყოფენ ნებისმიერი ახალი ან გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის მართვას, მოვლა/პატრონობას;</li> <li>• უზრუნველყოფენ ახალი სერვისების შექმნას (მაგ. ტურისტებზე ან უმუშევარ ახალგაზრდებზე ორიენტირებულს);</li> <li>• აქვთ სურვილი გააზიარონ მიღებული ცოდნა/გამოცდილება (მაგ. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მეშვეობით).</li> </ul>
საკუთრება/ქონებაზე ხელმისაწვდომობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩამოთვალეთ ყველა ის ქონება (მიწა, შენობა და ა.შ.), რომელსაც შეეხება პროექტი, ასევე მიუთითეთ მასზე საკუთრების უფლება;</li> <li>• იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება ზემოაღნიშნულ ქონებაზე განხორციელდეს (მიწა, შენობა და ა.შ.) საკუთრებრივი ცვლილება, მიუთითეთ ცვლილების განხორციელების გზები და ვადები.</li> </ul>

რეგიონული და ინტეგრირებულობის ასპექტები	
რეგიონული მასშტაბი	აღწერეთ, თუ რატომ არის პროექტი რეგიონული – მაგ. თუ პროექტი არის ინტერმუნციპალური, ეხება რეგიონული მნიშვნელობის ადგილს, ან ხელს შეუწყობს კომპანიების/მეწარმეების შემოსავლების ზრდის პროცესს, რეგიონული ან ინტერმუნციპალური მასშტაბით.
ადგილობრივი ასპექტები	ახსენით, თუ როგორ ითვალისწინებს და პასუხობს პროექტი იმ ადგილის უნიკალურ /სპეციფიკურ მახასიათებლებს, სადაც იგეგმება პროექტის განხორციელება.
მულტი სექტორული	ახსენით, თუ რამდენად მრავალშედეგობრივი (გარდა ეკონომიკური ასპექტისა) შეიძლება იყოს პროექტი, მაგ: ეკონომიკური/სოციალური/გარემოსდაცვითი ასპექტების ერთობლიობით.
რამდენად კვალიფიცურია „კოალიცია“	აღწერეთ: <ul style="list-style-type: none"> <li>• რამდენად შესაბამისია სამუშაო ჯგუფის კვალიფიკაცია;</li> <li>• რამდენად თანაბარუფლებიანია ჯგუფი და ხომ არ ითვალისწინებს მხოლოდ ერთი წევრის ინტერესს.</li> </ul>



**დანართი 3. ინფორმაცია პროექტის შესახებ. EU4ITD - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL).**

**EU4ITD – „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ (CESL)** არის EU4ITD „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) თანმდევი ღონისძიება, პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ. პროექტს ახორციელებს „GIZ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა“ სრიგპ-ის ოთხ საპილოტე რეგიონში: რაჭა - ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, გურიაში, იმერეთში, კახეთში. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 7.5 მილიონ ევროს, ხოლო განხორციელების პერიოდი გრძელდება 2022 წლის თებერვლიდან 2025 წლის სექტემბრამდე.

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ პროგრამის საპილოტე რეგიონებში არსებული მუნიციპალიტეტები, მცირე საწარმოები და ინდივიდუალური მეწარმეები. პროექტის დაფინანსებით შესაძლებელი იქნება ინფრასტრუქტურის განვითარება, ტექნიკის/აღჭურვილობის შეძენა და გარკვეულწილად შესაძლებლობათა გაძლიერება, რომელიც გულისხმობს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას (learning by doing) და არა თეორიულ სატრენინგო პროგრამებს.

ინიციატივის ძირითადი საფუძველია დაბალანსდეს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება საქართველოს რეგიონებში, თბილისთან და ბათუმთან მიმართებაში.

ამ მიზნით, პროგრამა, ეხმარება საპილოტე რეგიონების მუნიციპალიტეტებს, ბიზნესსა და მოქალაქეებს გამოუყენებელი ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის ათვისებაში - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მოქმედებს, როგორც ადგილზე არსებული ეკონომიკური და სოციალური პროცესების კატალიზატორი. პროექტის საშუალო და გრძელვადიანი შედეგი უნდა იყოს მიგრაციის შემცირება დედაქალაქში და იმ ადამიანების რიცხვის ზრდა, რომლებიც ამჯობინებენ საქართველოს რეგიონებში საცხოვრებლად გადასვლას.

**CESL-ის მიერ დაფინანსებული აქტივობების უმეტესობა** მოიცავს მუნიციპალიტეტებისა (ცალკეულად ან ჯგუფურად) და ინტერმუნიციპალური ორგანოების (მაგ. დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების (DMOs)) მიერ შემუშავებულ პროექტებს. ამ მიზნით, შერჩეულ კანდიდატებსა და GIZ-ს შორის დაიდება საგრანტო ხელშეკრულებები. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, CESL-მა შესაძლოა ითანამშრომლოს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან ან მომსახურების მიმწოდებლებთან. როგორც წესი, პროექტები უნდა იყოს „ინტეგრირებული“ და ასევე, რეგიონული მასშტაბის (მაგ. უნდა მოიცავდეს მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობას).

CESL დააფინანსებს ინიციატივებსა და თანმხლებ ღონისძიებებს **სამი პრიორიტეტული მიმართულებით:**

- **ურბანული განახლება - გულისხმობს პროექტებს, რომელთა მიზანია იქნება გამოუყენებელი ან არასათანადოდ გამოყენებული „სივრცეების“ სოციალური ან კომერციული ფუნქციის მქონე „ადგილებად“ გადაქცევა.** ინიციატივა, რომელსაც მინიმუმ ერთი მოქალაქე წარადგენს, უნდა დაფინანსდეს საჯარო ფონდებით, თუმცა, უნდა განხორციელდეს თავად მოქალაქეების აქტიური ჩართულობით. გამომდინარე იქიდან, რომ მიზანი არის თბილისისა და ბათუმის მიღმა „მიზიდულობის ცენტრების“ შექმნა, მოცემული მიმართულების პრიორიტეტული არეალია საპილოტე რეგიონების ურბანული ცენტრები და ოთხი პოსტ-ინდუსტრიული ქალაქი იმერეთის რეგიონში<sup>12</sup>;
- **ტურიზმის განვითარება -** პროექტები, რომელთა მიზანია სრიგპ-ის რეგიონებში ტურისტული შეთავაზებების გაუმჯობესებას ან ტურიზმისგან გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემსუბუქებას ემსახურება. ინიციატივები უნდა იყოს: **1)** რეგიონული მნიშვნელობის მქონე, **2)** დაგეგმილი და/ან განხორციელებული ტურისტული სექტორის წარმომადგენლებთან ერთად და **3)** სენსიტიური, როგორც მოქალაქეების, ასევე კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მიმართ (მაგ. ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლება);
- **შემოსავლების გენერირება და ეკონომიკური გააქტიურება -** პროექტები, რომელთა მიზანია: **1)** კონკრეტული ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება ან ამ ჯაჭვში არსებული დანაკლისის აღმოფხვრა, რათა გაიზარდოს კონკრეტული პროდუქტის ფასი ან გაყიდვები; ან **2)** მოწყვლადი ჯგუფებისთვის (მაგ. სოფლად მცხოვრები ქალები, უმუშევარი ახალგაზრდები) შემოსავლის წარმოქმნა ან გაზრდა.

<sup>12</sup> ამბროლაური, ქუთაისი, ოზურგეთი, თელავი, ჭიათურა, სამტრედია, ტყიბული და ზესტაფონი.



გარდა ზემოაღნიშნულისა, დაფინანსებულ ინიციატივებში, ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი **კომპლექსური საკითხები**, როგორცაა დისკრიმინაცია, გარემოს დაცვა და კარგი მმართველობა. ამ საკითხებს, პროექტი გარკვეულწილად ავტომატურად შეეხება შემუშავების ეტაპზე, რადგან შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სავალდებულოა. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს გენდერული თანასწორობისა და მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული საბჭოების ჩართულობაზე (მაგ. კონსულტაციები პროექტის განვითარების ეტაპზე).

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ (CESL) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.